# ხანდაზმულთა მდგომარეობა და სათემო ორგანიზაციის მომსახურების სერვისით სარგებლობა

**მაკა ლობჟანიძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა - სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი 2014**

# აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოში ხანდაზმულთა მდგომარეობა და მათთვის სათემო ორგანიზაციის მომსახურების სერვისის მნიშვნელობა. ამნაშრომისმიზანიაშეისწავლოს სათემო ორგანიზაციის მომსახურების სერვისი. ნაშრომისფარგლებშიჩატრებულიკვლევაწარმოადგენსმცდელობას, გაზომოს ხანდაზმულთა კმაყოფილება სათემო ორგანიზაციის სერვისის მომსახურების შესახებ და შეიმუშაოს რეკომენდაციები ამ სერვისის გაუმჯობესების მიზნით, რათა ხელი შეუწყოს ხანდაზმულთა კეთილდღეობის საკითხს. კვლევაში გამოყენებული იქნა შერეული მეთოდიკა. კვლევისჩატარებისმიზანიიყო ახლად გააქტიურებული სერვისისსათემო ორგანიზაციების არსებულისა ჭიროებების გამოვლენა, მათი იდენტიფიცირების გზით ამ პრობლემათა და კმაყოფილების მიმართულებით მუშაობის დაწყება, რაც ხელსშეუწყობს სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემების გამოვლენას.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში ინფორმაცია მოპოვებულ იქნა კახეთის რაიონში არსებული სათემო ორგანიზაციაში მცხოვრები ხანდაზმულებიდან, მომსახურე პერსონალიდან და სოციალური მუშაკებიდან. კვლევის შედეგად გამოვლინდა სათემო ორგანიზაციისა და ხანდაზმულებზე ზრუნვის მთელი რიგი საჭიროებები და პრობლემური საკითხები , რომლთა გაერთიანება და დაჯგუფება მოიცავს სისტემურ/სტრუქტურულ, ადმინისტრაციულ, ჯანდაცვის, ფინანსურ შესაძლებლობების განვითარებასა და არამატერიალური დახმარების თემატურ სფეროებს.

მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების, გაანალიზებისა დასინთეზის შედეგად შემუშავდა რიგი რეკომენდაციები სათემო ორგანიზაციის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, რაც მნიშვნელოვნად წაადგება სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრასა და მოქმედი სერვისის გაუმჯობესებას.